პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

19 აგვისტო
პარასკევი

1905. გამოქვეყნებულია „სახელმწიფო სათათბიროს დებულებები და „სახ. სათათბიროს არჩევნების დებულება", ბულიგინის მიერ შემუშავებული.

1890. 3 განყოფილების (ოხრანკის) დახურვა და მისი საქმეების გადაცემა შ. ს. სამინისტროსათვის.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონი: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

დ ღ ი უ რ ი:

— მთავრობამ უბრძანა ყველა რევკომებს და სოც. უზრ. განყოფილებებს, უზრუნველყონ წითელ არმიელების ოჯახები მუშა ხელით და სხვა გვარი დახმარებით.

— იტალიაში წარმოებს სისხლის მღვრელი შეტაკებანი შავრაზმელთა და მუშებს შორის.

— საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციები, სურსათ სანოვაგეზე ფასის აწევის გამო, საყოველთაო გაფიცვისათვის ემზადებიან.

№ 139 პარასკევი, 19 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 19 აგვისტო, 1921 წ. № 139

საბჭოთა მმართველობის გამარტივება

რუსეთში საბჭოთა აღმშენებლობა იმ თავითვე არა ხელსაყრელ პირობებში სწარმოებდა. ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის ბოლო არ იყო ჩათავებული, რომ სამოქალაქო ომის შავმა ქარბორბალმა და გრგვინვამ მოიცვა რუსეთის თვალუწვდენელი სივრცე. შინაური კონტრრევოლუცია და გარეშე იმპერიალისტური ძალა ერთმანეთს ამოუდგნენ და ჯოჯოხეთურ რკალში მოაქციეს მუშურ-გლეხური რესპუბლიკა, მოსწყვიტეს ის დანარჩენ ქვეყნებს, მოსწყვიტეს თვით რუსეთის განაპირა მხარეებს, კუთხეებს და ოლქებს. თავდაცვა და საბჭოთა აღმშენებლობა რომ შეუძლებელი გახდა ორგული, სუსტი და [illegible] ორგანოების შემოღება, აუარებელი თანამშრომელთა მობილიზაცია და აღრიცხვა სხვადასხვა სისხლიან და უსისხლო ფრონტებზე დიდმა, მრავალფეროვანმა და შეუპოვარმა წინააღმდეგობამ რუსეთს [illegible]. მან ბოლოს და ბოლოს გაარღვია სამხედრო და ეკონომიური ბლოკადის რკალი და მშვიდობიანი პირობები მოიპოვა სოციალისტური აღმშენებლობის საწარმოებლად. დაუყონებლივ დადგა რუსეთში საკითხი „გაბერილ" საბჭოთა ორგანოების და დაწესებულებათა შემცირების შესახებ. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ დადგა ამ გზას და დღიურ წესრიგში ჩააყენა ადმინისტრაციის, მმართველობის და სამეურნეო დაწესებულებათა გამარტივება.

ეკონომიური კომისარიატების მრავალი ფუნქცია გადაეცა ე. წ. „შრომის და თავდაცვის საბჭოს", რომელიც აერთიანებს ეკონომიური საქმიანობის პოლიტიკურ მხარეს, ხოლო მიმართულება და გეგმა სოციალისტური მეურნეობისათვის იქნება განსაკუთრებული კომისია. ამასთანავე, შემადგენლობა საბჭოთა ორგანოების მინიმუმამდე მცირდება, რის გამო მცირდება ერთი მხრით საბჭოთა სახელმწიფო ხარჯები, და მეორე მხრით თავისუფლდება მრავალი მუშა ძალა წარმოებისათვის.

თუ კი დიდი და მდიდარი რუსეთი დაადგა ასეთ გზას, თუ იქ მარტივი და მსუბუქად მოწყობილ აპარატისაკენ ილტვიან, მით უფრო საჭირო და აუცილებელია ეს ჩვენთვის, პატარა და ღარიბ საქართველოსათვის. პირველ ხანებში, როცა საბჭოთა ძალაუფლება ჩვენში ფეხს იდგამდა, როცა ის თითქო ბნელაში მოქმედებდა, როცა არ იყო რაოდენიმეთ მაინც ნორმალური პირობები გეგმის მიხედვით მუშაობის, შეუძლებელი იყო უკუგდება შაბლონის, უარყოფა ყველა ასეული და გამოცდილი გზის. ჩვენი საბჭოთა ორგანოები ცენტრშიც და ადგილობრივ მოეწყო საბჭოთა რუსეთის ორგანოების მიხედვით. დაწესებულებები სიჭარბით გაივსნენ, მათში აუარებელი და ათასი და ათასი მოსამსახურე, ხშირად უსაქმოდ და მოქანცულებში დროს დამკარგავი. მაგრამ დღეს, როდესაც ორგანოებმა უკვე გაიარეს [illegible] გზა, როცა საბჭოთა სისტემა ჩამოყალიბებული და მშრომელთა დიქტატურის შენობა აგებული, ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ეს შენობა, ჩამოვაცილოთ მას ზედმეტი ნაწილები, ზოგი სულ მოვსპოთ, ზოგი შევაერთოთ და ნარჩენს, ხოლო გავანაწილოთ და გავწმინდოთ ყველა, მოსამსახურეთა და თანამშრომელთა შემადგენლობა. თუ რუსეთში ეს შემადგენლობა შემცირდება ჯერ 15 და შემდეგ 50 პროცენტით, მით უფრო შეგვეფერება ჩვენ ასეთი ქირურგიული ოპერაცია მეტხორცის მოსაკვეთად, რაც გააჯანსაღებს მთელ სხეულს და მშრომელთა სახელმწიფოს განთავისუფლებს ზედმეტი, ხშირად აუტანელი ხარჯებისგან. საბჭოთა საქართველოს ესაჭიროება მარტივი, სადა და მსუბუქი აპარატი. გამბერილი დაწესებულებები უნდა დაიყვანონ ნორმალურ ზომამდე, თვით დაწესებულებათა ფუნქციები მოწესრიგებული, ხელოვნური გეგმით გაშუქებული უნდა იქნენ.

ეს ბიუროკრატიზმი და უდიდესი ტვირთების მაგვარი უგზოობა, რაიც დღეს მოეჩვენება ჩვენს დაწესებულებებში, დაუყოვნებლივ აღმოფხვრილ უნდა იქნენ. მშრომელთა დიქტატურა, მთავარი პოლიტიკა ნათელი და მარტივია თავისი საერთო მიმართულებით და მიზნით. ასეთივე ნათელი და მარტივი უნდა იყოს ამ დიქტატურის და ეკონომიური პოლიტიკის გამტარებელი ორგანოები. ამაზე მიგვითითებს თავის წერილში ამხ. რიკოვი. ის წინეთ საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს („სოვნარხოზის") თავმჯდომარე იყო, დღეს ის „შრომის და თავდაცვის საბჭოს" თავმჯდომარეა. მასი რუსეთში სოციალისტური აღმშენებლობა. მან ყველაზე უკეთ იცის ამ აღმშენებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ექნება მის დარიგებებს. თავის წერილში, საქართველოს კომუნისტებისადმი მიმართულში, ის გვაფრთხილებს არ გავიმეოროთ ზეპირით შაბლონურად [illegible], რომელიც რუსეთში და რაც დამამძიმებელი იქნება საბჭოთა საქართველოში, მით უმეტეს, რომ აქ სამოქალაქო ომი არ სწარმოებს და მისთვის ადვილად შესაძლებელია მმართველობის გამარტივება.

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის კომისარიატები, ყველა ხელმძღვანელი საბჭოთა საქმიანობის, თითოეული კომუნისტი ვალდებულნი არიან ღრმათ ჩაუფიქრდნენ ამხ. რიკოვის წერილს და საქმედ აქციონ მისი რჩევა დაუყოვნებლივ, დღესვე.

ამხ. რიკოვის წერილი საქართველოს კომუნისტებისადმი

პატივცემულო ამხანაგებო! იმ ცნობებიდან, რომელიც მომდის აქ, საქართველოში საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, მე ის შთაბეჭდილება გამიჩნდა, რომ საქართველოს ამხანაგებმა უმთავრესობა დიდ შეცდომას უშვებენ, როცა პირწმინდად იმეორებენ თავიანთ საბჭოთა აღმშენებლობაში საბჭოთა რუსეთის გამოცდილებას.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საბჭოთა აპარატის გამარტივება, რათა არ უნდა დავივიწყოთ ეს გამარტივება, რომელიც ახლო [illegible] რაოდენობის შეცვლით, შემცირება ცალკე, ერთმანეთზე [illegible] დაკავშირებულ ორგანოების რიცხვის, დამყარება მათ შორის ერთობისა და მჭიდრო [illegible]. მაგრამ რუსეთში ჩვენ გვ ქვს საქმე ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც დასახლებულია ას მილიონზე მეტი, [illegible] მოსახლეობით, რომელიც გაშლილია უზარმაზარ სივრცეზე და შედარებით განვითარებულია მრეწველობის მხრით და მრავალ სახის საზოგადოებრივი კულტურით.

ასეთ სახელმწიფოს თავის ორგანიზაციის დასაწყისში უნდა ეწარმოებინა და შეეძლო აეტანა რთული და მეტად დიფერენცირებული მმართველობის აპარატი.

უდიდესი შეცდომა იქნებოდა ამ გამოცდილების დაწვრილებით განმეორება პატარა, შედარებით ღარიბ საქართველოში.

ჩემი შეხედულებით მანდ აუცილებელია შემოღება უფრო მარტივი და თავის ცალკე წილებით უფრო მჭიდროთ დაკავშირებული აპარატის, თანამშრომელთა სულ უმცირესი შემადგენლობით.

მოსკოვიდან ძნელია იმის ჩვენება, თუ რომელი ჩვენი ორგანოები სრულიად ზედმეტ ტვირთს წარმოადგენენ საქართველოსათვის; რომელი ორგანოების გაერთიანება და ერთმანეთში გათქვეფა საჭიროა, რომლების შეკუმშვა და შეკვეცა; სრულებით უეჭველია მხოლოდ ის, რომ ჩვენი [illegible] ეკონომიური ხარკმა [illegible] გაერთიანებისაკენ „შრომის და თავდაცვის საბჭოს" და „სახელმწიფო გეგმის"—სახით (Совет труда и обороны, Госплан), ჩვენი ორგანოები ზედმეტი და პარალელური ორგანოების და კომისიების ლიკვიდაციისაკენ მიმართული, აწონ-დაწონილი უნდა იქნეს საქართველოში მით უფრო მეტი გაბედულობით, რაც უფრო მარტივი და [illegible] გადასაწყვეტი საკითხები საქართველოს წინ საბჭოთა სახელმწიფოს მოწყობის საქმეში. თქვენ არ გაუწიეთ ჩვენს გამოცდილებას ეკონომიური პოლიტიკის დარგში და [illegible] თქვენი ხალხის ეკონ. [illegible] განსაზღვრეთ [illegible] თქვენთვის აუცილებელ [illegible] გაუწიოთ ჩვენს გამოცდილებას და გაკვეთილებს ადმინისტრაციისა და მმართველობის საქმეშიც და არ შექმნათ ძვირი, ბევრი ხარჯების მომთხოვნელი აპარატი, რომელიც მძიმედ დააწვება მშრომელთა მასებს.

კომუნისტური სალამით

ა. ი. რიკოვი.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

შულავერი

15 აგვისტო (დეპეშა). კვირას აგვისტოს 14-ს შულავერში შესდგა დიდი მიტინგი სასურსათო და სანიტარულ გადასახადების საკითხების გამო. მიტინგზე ილაპარაკეს ამხ. ერიციანმა და [illegible], რომლებმაც დაახასიათეს რესპუბლიკის თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა; ლენინის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც დაისახა კომპარტიის მე 10 ყრილობამ, ორატორებმა განუმარტეს მოსახლეობას სასურსათო გადასახადის მიზანი და მნიშვნელობა და სთხოვდნენ მათ გადაიხადონ სასურსათო გადასახადი, რომელთა რაოდენობა არა დროს არ მიუტანს ზარალს მეურნეობას, და პირიქით დიდ სარგებლობას მისცემს [illegible], რადგანაც მისცემს მას შესაძლებლობა მიაწოდოს მუშა მოსამსახურეებს პური. შემდეგ ორატორები შეეხნენ ვოლგის მხრის დამშეულთა საკითხს, მოუწოდეს შულავერის მოსახლეობას გამოეხმაურონ ვისაც რით შეუძლია ამ დიდ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ვოლგის მხარის ხალხს.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მშიერთათვის დახმარება ზნეობრივი ვალია ამიერ-კავკასიისათვის, რომელიც იკვებებოდა რუსეთის პურით. მოსახლეობა ძლიერ თანაგრძნობით გამოეხმაურა მოწოდებას და დაპირდნენ ფართო დახმარებას რუსეთს. შეწირულების მოგროვებას შეუდგა კომპარტიის ადგილობრივი რაიკომი, რომელიც ჩააბარებს შეკრებილ შეწირულებას ცენტრიდან დანიშნულ სპეციალურ კომისიას.

ფ ო თ ი.

13 აგვისტო. (დეპეშა). აგვისტოს 12-ს ფოთის სახალხო განათლების განყოფილებასთან მოეწყო პოლიტიკური განათლების განყოფილება. პოლიტიკურ განყოფილების თავმჯდომარედ ფოთის პარტიულმა კომიტეტმა დანიშნა ამხ. მიქელაძე. კოლეგიის წევრებათ დაინიშნენ ქურიძე და ქვარცხავა. პოლიტიკურ განყოფილებასთან არსებობს სამკითხველო, საპროპაგანდო, საინსტრუქტორო ორგანიზაციული განყოფილებანი. დასახულია მომავალი მუშაობის გეგმა.

ქუთაისი

15 აგვისტო (დეპეშა). ორშაბათს აგვისტოს 15-ს ახალგაზრდა კომუნისტთა კლუბში გაიხსნა პირველი ლეგალური ქუთაისის სამაზრო ორგანიზაციის კონფერენცია.

აგვისტოს 14-ს ქალაქის ბაღში გაიმართა მიტინგი რუსეთის დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხის გამო. მიტინგზე დაესწრო ბევრი წითელ ლაშქრელები და მრავალი ქალაქელი, რომლებიც დიდის თანაგრძნობით მოეკიდნენ დახმარების მოწოდებას. მიტინგის შემდეგ ქალაქის ცირკში და თეატრში გაიმართა შეწირულებათა შეგროვება, ხალხი სწირავდა [illegible]. შუაღამემდე ქუჩები სავსე იყო დემონსტრანტებით.

აგვისტოს 15-ს ქუთაისში შესდგა საგანგებო კომისიის ოლქში.

მოეწყო და მუშაობს რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც მუშაობს, როგორც ქალაქში აგრეთვე მაზრებში, გადაწყვეტილია მოეწყოს დამშეულთა კვირა.

ბ ა თ უ მ ი

12 აგვისტო (დეპეშა). მეორედ მოვიდა ამერიკის ნავი [illegible] 239, რომლითაც მოვიდნენ 5 კაცი ვოლგის მხარის დამშეულთა დამხმარე ამერიკულ კომიტეტის წევრები. ისინი გაემგზავრნენ მოსკოვში საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ნავმოსანზე იყვნენ აგრეთვე ამერიკელი კომერსანტებიც, რომლებიც [illegible] ამიერ-კავკასიის ბაზრის მდგომარეობის გასაცნობათ.

მოვიდა ინგლისის გემი „რიჩარდი" საქონლით [illegible]. საქონელთა რიცხვში არის, ავტომობილი, მისი მოწყობილობანი, [illegible] ტანსაცმელი, [illegible], სარდინები, [illegible] ტანსაცმელი. მოელიან კიდევ სამ ამერიკის და ორ ინგლისის გემს დიდძალი საქონლით. კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობებით იქ მოდის ამერიკასა და ინგლისიდან ძლიერ ბევრი ფქვილი, ბამბეულის ქსოვილი, მანქანები, ტყავი და ფარმაცევტული ნაწარმოებები, რომელიც დანიშნულია ამიერკავკასიისათვის, ნაწილი რუმინიისა და ნაწილიც საბჭოთ რუსეთისათვის.

საბჭოთა ნავთსადგურებთან დამოკიდებულება ყოველ დღე ძლიერდება. არის ცნობები რომ, დიდძალი საქონელი იგზავნება ევროპიდან და ამერიკიდან ბათუმისკენ.

რუსეთი

ბრძოლა სიმშილობასთან. ისწრაფეთ დახმარებით.

მოსკოვი. 15 აგვისტო. (რადიო) შიმშილობით [illegible] ნაწილის გლეხების ტალღამ ჩვენ არ უნდა დაგვაშინოს. დახმარება უფრო სწრაფად უნდა სწარმოებდეს, ვიდრე აქამდის იყო. სარატოვის თემიდან იტყობინებიან, რომ იქ აღნიშნულია 310 შემთხვევა შიმშილისაგან სიკვდილისა. ქალები რომლებიც [illegible] ბავშვების ტანჯვას, იძულებულნი არიან [illegible]. ადგილობრივ შეუძლებელია ბავშვებისადმი დახმარების აღმოჩენა, სურსათ—სანოვაგის უქონლობის გამო. დაიჩქარეთ დახმარება დამშეულთა მიმართ. პირველ ყოვლისა გამოგზავნეთ პური დამშეულ ბავშვებისთვის, მხოლოდ ჩვენს მიერ დახმარებას შეუძლია იხსნას მოსახლეობის მრავალი [illegible], რაც გამოწვეულია მეფურ მთავრობის ბოროტმოქმედებით გლეხურ რუსეთის წინაშე. მუშა—გლეხებო [illegible] სიმშილის [illegible] როგორც ბრძოლის ველზე [illegible].

5000 ბავშვი—ნოვგოროდის პროლეტარიატის ხარჯზე

ნოვგოროდი. 18 აგვისტო. (რადიო). 5000 ბავშვს ვოლგის სანაპიროდან ჩამოყვანილებს ათავსებენ სტარო-რუსკაიის აგარაკში, მონასტრებისა და მემამულეებისაგან განთავისუფლებულ [illegible]. ათასხუთასი ბავშვი მოთავსებულია ნოვგოროდის მაზრაში, 2000—სტარორუსკაიასა და ბოროვიჩსკიიში და ხუთას-ხუთასი დანარჩენ გუბერნიებში.

სამკურნალო—საკვები მატარებლები ბავშვებისათვის.

მოსკოვი. 15 აგვისტო. (რადიო). ყაზანისა და სამარის გაგზავნილი სამკურნალო—საკვები მატარებლები ჩაიტანს 8—7 ათას ბავშვს თითო. მატარებლებში მოწყობილია სამკურნალო პუნქტები, რომლებიც აწვდიან მოგზაურ ბავშვებს დამშეულ რაიონებში.

მატარებლებს თან გაატანეს 2000 კომპლექტი საბავშვო ტანისამოსი, 2 ვაგონი ფქვილი, 400 ფუთი ლობიო, 200 ფ. ბრინჯი, 120 ფუთი შაქარი 500 ფუთი [illegible], 300 ფუთი გამხმარი [illegible] და 80 ფუთი მარილი.

მზადდება კიდევ 3 მატარებელი, რომლებიც გაიგზავნებიან ბუგულმისა და ჩელიაბინსკში, ორენბურგ-ტაშკენტის ხაზიდან, საიდაც დაბრუნდება მრავალი დამშეული, განსაკუთრებით ბავშვები.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ოსმალეთი.

სტამბოლის ბედი.

ლონდონი. გაზ. „დეილი ტელეგრაფი" სწერს: ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის გადაწყვეტილება სრუტეების თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ ურყევია. ინგლისი არ დაუშვებს, რომ სტამბოლი ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთ-ერთ სახელმწიფოს, რომელიც რუსეთთან ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაშია. ეს უდრის ბოსფორზე ახლა რუსეთის,—ლენინისა და ტროცკის რუსეთის გამოჩენას, რომელიც დიდ საშიშროებას წარმოადგენს [illegible] ქვეყნისათვის და [illegible]. ეს იქნებოდა დამარცხება, რასაც მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის დიდი საზარალო შედეგი მოყვება და რაც ბალკანეთისა და დუნაის სახელმწიფოებში ახალ გართულებას და არევ-დარევას შეიტანს.

საფრანგეთი.

გაფიცვისათვის ემზადებიან

მოსკოვი. 15 აგვ. (რადიო). პურზე ფასების აწევის გამო პარიზის მუშათა ორგანიზაციების აზრით აქვთ გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა.

იტალია.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

მოსკოვი. 16 აგვ. (რადიო). იტალიის მთელ რიგ ქალაქებიდან, ტურინიდან, მანტუიდან, მოდენიდან იუწყებიან სისხლის მღვრელ შეტაკებათა შესახებ შავრაზმელთა და მუშების ორგანიზაციებს შორის. სისხლის მღვრელი შეტაკებანი ხდება [illegible] შეთანხმების შემდეგ იტალიის შემათანხმებელთა და შავრაზმელთა შორის. შემათანხმებელთა „ხელები გასვრილია მუშათა სისხლით.

გერმანია.

საყოველთაო გაფიცვა დანციგში

მოსკოვი. 15 აგვ. (რადიო). დანციგში საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. ქუჩები ბარიკადებითაა გამაგრებული და წვეტიანი მავთულით არის მოფენილი. ჯარი მზადა სდგას. პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე მთავრობამ პარლამენტის შენობაში ჯარის ნაწილები შემოიყვანა, რომლებმაც სცემეს დეპუტატ კომუნისტს.

საბჭოთა წყობილების შიში.

მოსკოვი. 16 აგვისტო. (რადიო). გერმანიის ბურჟუაზიას ეხლა ეშინია [illegible] საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობისა, შიშის გამო დანციგში დაპატიმრეს 7 კომუნისტი, რომლებსაც ბრალად სდებენ დანციგში უკანასკნელ გაფიცვის დროს საბჭოთა ხელის-უფლების გამოცხადების განზრახვას.

ლატვია

შიში პროლეტარიატის სოლიდარობის წინაშე.

მოსკოვი. 16 აგვისტო. (რადიო). ლატვიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ აუკრძალა ლატვიის მუშებს რუსეთის დამშეულთათვის დახმარების მოწყობა.

ამერიკა

ომისათვის კრედიტს სასწრაფოდ უხსნიან.

მოსკოვი. 16 აგვისტო. (რადიო). ამერიკის მთავრობამ, რომელიც ასე ხანგრძლივად არჩევს საკითხს რუსეთის დამშეულთა დახმარების შესახებ, სასწრაფოდ გაუხსნა პოლონეთს 5 მილ. დოლარის კრედიტი სამხედრო მასალის შესაძენად.

შორეულ აღმოსავლეთში.

თეთრგვარდიელობა უკანასკნელ დღეშია.

მოსკოვი. 16 აგვისტო. (რადიო). ვლადივოსტოკიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივი მთავრობა მერკულოვის [illegible] უმწეოა. გაფიცვა გრძელდება და იმუქრება ყოველ დღე აფეთქებით ახალი ძალით. ვლადივოსტოკში იაპონელები არ არიან, მაგრამ ქალაქის მიდამოები დაკავებულია იაპონიის რაზმებით. ქალაქში გამოდის მხოლოდ მემარჯვენე გაზეთები. ფულის კრიზისი იღებს კატასტროფიულ ხასიათს. მუშათა შორის სწარმოებს ურიცხვი დატუსაღება და ჩხრეკა.

ბრძოლა კაპიტალთან.

პარიჟი. 8 აგვისტო. საერთა შორისო მუშათა კონგრესზე ფრანკფურტში დამოუკიდებელმა სოციალისტმა დიტმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მოუწოდა რევოლუციონურ—სოციალისტურ პროლეტარიატს შეერთებისაკენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. საფრანგეთის სოციალისტების წარმომადგენელი ლონგე მიესალმა გერმანელ [illegible] სოციალიზმისათვის და მოუწოდა პროლეტარიატს, რათა დაუბრუნდეს რევოლუციონურ მარქსიზმის იდეას. ლონგე შეეხო საკითხს ომის პასუხისმგებლობის შესახებ და მიუთითა, რომ პასუხისმგებლობა იმპერიალისტური ომისა ეკისრება ერთნაირათ ყველა იმპერიალისტურ ქვეყნებს, მათ რიცხვში საფრანგეთსაც და გერმანიასაც. შვეიცარიის დელეგატი გრიმი გამოვიდა სასტიკი პროტესტით რეფორმისტების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველთვის მზად არიან კომპრომისზე და რომლებიც უთანხმდებიან ბურჟუაზიას. ავსტრიის დელეგატმა ფრიდრიხ ადლერმა მოუწოდა საერთაშორისო პროლეტარიატის გაერთიანებისაკენ [illegible] კაპიტალიზმთან საბრძოლველათ.

პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში.

ლონდონი. 1 აგვისტო. ევროპის პრესაში ემჩნევა გაძლიერებული ტენდენცია დაუკავშირონ ერთმანეთს რუსეთის სიმშილის საკითხი, ზემო სილეზიის საკითხი, საკითხი საფრანგეთის დაკავშირებისა ბალტიის სახელმწიფოებთან და [illegible] ურთიერთ შორის კავშირი. „ტაიმსი", აღნიშნავს რა უკანასკნელ ნომერში სიმშილის საკითხს, აღნიშნავს დიდ პოლიტიკურ გართულებების შესაძლებლობას, რომელსაც შეუძლია უეცრად გადაატრიალოს ყველა [illegible]. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია თანამედროვე მდგომარეობის მომენტის აღნიშვნა, როდესაც რუსეთის მეზობელი სახელმწიფოები იმყოფებიან საშიშ მდგომარეობაში. გაზეთი „დეილი ქრონიკლი" აღნიშნავს შესაძლებლობას და საშიშროებას ახალი ომისას: „საერთო შეთანხმებულობით, მიუთითებს გაზეთი, გერმანელების და პოლონელების კონფლიქტი ჩაითრევს საფრანგეთს, [illegible] და ბალტიის სახელმწიფოებს ომში. საფრანგეთი, რასაკვირველია, ისარგებლებს შემთხვევით და დაიკავებს რურის ოლქს. პოლიტიკური ატმოსფერა იმდენად არის გაძლიერებული [illegible] და ინგლისის ორჭოფული პოლიტიკით, შიშით და სიძულვილით გერმანიისადმი [illegible] რათა სარგებლობა მიიღონ რუსეთის ხარჯზე. რომ ყველა ეს [illegible] მოხდეს.

თეთრ გვარდიელების ავანტიურა

ლონდონი. 5 აგვისტო. „დეილი ნიუსი" იტყობინება: ლონდონში მიღებულია ახალი ცნობები რუსეთში თეთრგვარდიელების შეთქმულების შესახებ. ამ შეთქმულებას განზრახვა ჰქონდა ხელში ჩაეგდო საბჭოთა ხელისუფლება მოულოდნელათ. ეს ცდა უიმედოა და, რა საკვირველია, არავითარი შანსი არა აქვს გამარჯვებისა. ვიმედოვნებთ, რომ სამუდამოთ დაიდება საზღვარი ყოველგვარ ავანტიურას, რომლებიც არაფერს არ იძლევა, გარდა ადამიანების მსხვერპლისას. ანტიბოლშევიკური საფრანგეთის პრესაც შეიგნებს, რომ ამ უიმედო საქმის დახმარება არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს.

ა ვ ს ტ რ ი ა

სოციალ-შემთანხმებელთა ფრთათა ქვეშ.

მოსკოვი. 16 აგვ. (რადიო). საბერძნეთის მთავრობა, რომელმაც დაიწყო სისხლის მღვრელი ომი ოსმალეთის რევოლუციონერებთან, მოლაპარაკებას აწარმოებს ავსტრიის მთავრობასთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ავსტრიის სოციალისტებიც, საბერძნეთის ლაშქრისათვის სამხედრო ამუნიციის გაცემის შესახებ.

პოლონეთი

მეგობრობა პოლონეთსა და მეფის ყაზახობის შორის.

მოსკოვი. 16 აგვ. (რადიო) ოდესღაც მეფის ყაზახები [illegible] ეპყრობოდნენ პოლონეთის მოსახლეობას. ახლა პილსუდსკიმ ვარშავაში ნება დართო მეფის ყაზახობას გაზეთ „ყაზახობის ხმის" გამოცემისა მიმართული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ნორვეგია

პროლეტარული დახმარება.

სტოკჰოლმი 12 აგვისტო. (რადიო) ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პროფკავშირთა საბჭო თავის მოწოდებაში მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს და პროფკავშირებს შეკრიბონ შემოწირულებანი და საბჭოთა ორგანიზაციებიდან ფულის გადადება რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთ. მოწოდებაში ნათქვამია: „რუსეთის მუშები იბრძვიან და იტანჯებიან ჩვენთვის, ჩვენი ვალია, მიუხედავად [illegible], გავუგზავნოთ უკანასკნელი ნამცეცები, რათა გადავარჩინოთ ჩვენი ძმები რუსეთში.

რუსეთისადმი დახმარების დღე

სტოკჰოლმი. 12 აგვისტო (რადიო). დანიის კომუნისტურმა პარტიამ აგვისტოს 18-ის დღე გამოაცხადა „რუსეთის დღე"-თ. ამ დღეს მუშები მოუწოდებენ, რათა დამშეულთადმი დასახმარებლად გამოიღონ ნაწილი თავის ყოველდღიურ ნამუშევრიდან.

ფ ი ნ ე თ ი

ფინეთის მუშების გადაწყვეტილება

ჰელსინგფორსი. 13 აგვ. (რადიო). ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშათა კრებამ ტამმერფორსში წინადადება მისცა ყველა პროფკავშირებს, რათა უკანასკნელმა ყოველდღიურად გამოიღონ ერთი სამუშაო საათის ღირებულება რუსეთის დამშეულთადმი დასახმარებლად.

ქ რ ო ნ ი კ ა

— 19 აგვისტო უქმე დღეა. შრომის კომისარიატის განმარტებით, დღევანდელი დღე, პარასკევი, 19 აგვისტო (ძვ. სტ. 6 აგვისტო) უქმედაა მიჩნეული და წარმოება-დაწესებულებებში მუშაობა არ სწარმოებს.

◆ **ლექცია დისპუტი ისტორიულ—რელიგიურ თემაზე.** კარლ მარქსის სახელობის კლუბში ([illegible] ქ. № 10) ამ დღეებში შესდგება პროფ. ადაროვის ლექცია დისპუტი ისტორიულ-რელიგიურ თემაზე, ბიბლიურ თქმულებათა კრიტიკა". ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე ოპერის დროის მიხედვით. იწვევენ სამღვდელოებიდან ოპონენტებს და ქრისტიანულ რელიგიის დამცველების წარმომადგენლებს.

◆ **საღამო ქართულ კლუბში.** კვირას 21 აგვისტოს [illegible] პირველი საზეიმო [illegible] პარტიული სკოლის კურსანტების. რისთვისაც კვირას საღამოს იმართება ქართულ კლუბში საღამო. საღამოზე სიტყვების წარმოსათქმელად მოწვეულნი არიან სხვა და სხვა დაწესებულებებიდან წარმომადგენლები.

◆ **მედიცინელთა კონფერენცია.** კვირას, 21 აგვისტოს დილის 10 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის თეატრში შესდგება მედიცინელთა კონფერენცია. [illegible] დელეგატები [illegible] გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილას კავშირთა [illegible].

◆ **სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარმა მოიწვია კრება, სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებათ მუშაობის მოწყობის მიზნით.

— სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა შეიმუშავა ახალი პროექტები დეკრეტებისა საზოგადო მოღვაწეთა ზოგიერთი ჯგუფების უზრუნველყოფის შესახებ.

◆ **ამერიკელი ჟურნალისტი ჩვენს ცენტრალურ მუშათა კლუბის შესახებ.** 12 აგვისტოს, ამერიკის დელეგაციასთან ერთად ჩამოსულმა ამერიკელმა ჟურნალისტ. [illegible] ინახულა ცენტრალური მუშათა კლუბი, სადაც არსებული ახალი თეატრი, ბიბლიოთეკა სამკითხველო, კლუბის ყველა სტუდიები და აგრეთვე ბაღი და სასადილო, რომლებიც სტუმარმა დაწვრილებით დაათვალიერა. ამერიკელმა სტუმარმა განაცხადა, რომ მუშათა ცენტრალური კლუბი, ყველა თავისი ორგანიზაციით ბრწყინვალედ არის დაყენებული და ამერიკაში არსად მაგვარი არ არის. ამერიკაში [illegible] მუშათა კლუბები შექმნილია კაპიტალისტების ხარჯზე და ცუდათაა მოწყობილი და მუშათა ორგანიზაციების მიერ მოწყობილი კლუბები სრულებით არ არის. [illegible] მუშათა კლუბის [illegible] მუშათა კლუბების შესახებ ინგლისურ ენაზე დიდი [illegible].

◆ [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible] ადგილობრივ კომიტეტის მუშაობით. [illegible] საქართველოს საბჭოთა მთავრობის იმ ზრუნვისათვის, რომელსაც ის უკანასკნელი იჩენს კომიტეტისადმი.

თეატრი და ხელოვნება

ოპერის გამგე.

მთავარი პოლიტიკურ განათლების სამმართველოს ოპერის გამგეთ დანიშნულია რუსეთიდან ჩამოსული სახელმწიფო ოპერის მსახიობი ამხ. [illegible], რომელსაც დაევალა მოიწვიოს ახალი ძალები და საჩქაროთ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას.

თეატრალურ განყოფილების კოლეგია.

პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს თეატრალურ განყოფილების კოლეგიაში შევიდნენ: ამხ. დადიანი, [illegible] და ტრუნინი. კოლეგიამ უკვე შეასრულა პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს მიერ დავალებული [illegible] სამუშაო. მოხდა თეატრალურ განყ. რეორგანიზაცია და შეიმუშავეს რევოლუციონური თეატრისთვის რამოდენიმე [illegible] დასი.

თეატრალური განყოფილება და პროვინცია.

პოლ. გან. მთავარ სამმართ. თეატრალურ განყოფილებამ გამოიმუშავა მთელი რიგი ინსტრუქციები პროვინციაში სათეატრო საქმის რეორგანიზაციისათვის. მაზრებში, დანიშნულია 10 ინსტრუქტორი და შეუდგნენ სასწრაფო მუშაობას თეატრების მოსაწყობლად.

ცენტრალურ მუშათა კლუბში.

ცენტრალურ მუშათა კლუბის, თეატრალურ, მუსიკალურ, ვოკალურ, სამხატვრო და ესპერანტოს სტუდიებში ამ ჟამად ირიცხება ჩაწერილი 1000 კაცზე მეტი. [illegible], გამოცდილ მასწავლებლების ხელმძღვანელობით ნაყოფიერათ მიმდინარეობს, კლუბის თეატრალურ სტუდიის მიერ გამართული იქნება რამოდენიმე მაჩვენებელი წარმოდგენა კლასიკურ რეპერტუარიდან.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

სასურსათო გადასახადის შესახებ

(გაგრძელება იხ. „კ.მ." № 128)

რასაკვირველია, შეიძლება! ამას ვამტკიცებდი მე 1918 წლის მაისში, ვფიქრობ, მგონია, დავამტკიცე წელსაც. ეს კიდევ ცოტაა: მე მაშინ დავამტკიცე, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი, შედარებით წვრილ მესაკუთრეობითი (და წვრილ პატრიარქალურ, წვრილ-ბურჟუაზიულ) სტიქიონთან, არის ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა. აუარებელ შეცდომას სჩადის ის, ვინც ადარებს, ან უფარდებს სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს მხოლოდ სოციალიზმს, იმ დროს, როდესაც არსებულ ეკონომიურ პირობებში, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი უნდა აუცილებლად შეუფარდდეს მხოლოდ და მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიულ წარმოებას.

მთელი საკითხი, როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული,—იმაში მდგომარეობს, რომ ვიპოვოთ სწორე საშუალებანი, სწორე გზა, რომლებითაც შეიძლებოდეს წარმართვა (განსაზღვრულ საფეხურსა და განსაზღვრულ დროს) კაპიტალიზმის აუცილებელ განვითარებისა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის კალაპოტისაკენ. საქმე ის არის, რომ შევქმნათ ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ახლო მომავალში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი გადავაქციოთ სოციალიზმათ.

ამ საკითხის გადასაწყვეტად, პირველ ყოვლისა, საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ ის, თუ რა იქნება პრაქტიკაში და რად იქნება სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი საბჭოთა სისტემის შიგნით, საბჭოთა სახელმწიფოს ჩარჩოებში.

ყველაზე უბრალო შემთხვევა, ანუ მაგალითი იმისა, თუ როგორ წარმართავს საბჭოთა ხელისუფლება კაპიტალიზმის განვითარებას სახელმწიფოებრივ, კაპიტალიზმის კალაპოტისაკენ და ან როგორ „დანერგავს" იგი სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს,—არის კონცესიები. ახლა ჩვენში ყველა თანხმაა, რომ კონცესიები საჭიროა, მაგრამ ყველა კი არა ფიქრობს იმაზე, თუ რა გვარია მნიშვნელობა კონცესიებისა. რა არის კონცესიები საბჭოთა სისტემის დროს საზოგადოებრივ ეკონომიურ წყობის და მათ ურთიერთობათა თვალსაზრისით? ეს არის ხელშეკრულობა, ბლოკი, კავშირი საბჭოთა, ე. ი. პროლეტართა სახელმწიფოებრივ ხელის-უფლებისა სახელმწიფო კაპიტალიზმთან, წინააღმდეგ წვრილ მესაკუთრეობითი (პატრიარქალურ და წვრილ ბურჟუაზიულ) სტიქიონისა. კონცესიონერი —იგივე კაპიტალისტია. ის საქმეს აწარმოებს კაპიტალისტურად მოგებისათვის, ის ეთანხმება საბჭოთა ხელისუფლებას და უდებს ხელშეკრულებას, იმიტომ, რომ ნახოს რაც შეიძლება სწრაფი მოგება (ჩვეულებრივზე მეტი) და მიიღოს ისეთი ნედლი მასალა, რომლის შოვნაც მას ან მისოთ არ შეუძლია, ან ძალიან გაუჭირდება მისი შოვნა. საბჭოთა მთავრობის მოგება კიდევ ის არის, რომ ის ამ გზით აძლიერებს საწარმოო ძალებს და ამრავლებს რაოდენობას ისეთი პროდუქტებისას, რომლებიც ახლავე საჭიროა, ან საჭირო იქნება უმახლობელეს დროის განმავლობაში, ჩვენ გვაქვს, მაგალითად, ასი და ორასი ესა და ეს კარხანა, მადანი, ტყე. ჩვენ არ შეგვიძლია ყველას ამუშავება—გვაკლია მანქანები, სურსათი, ტრანსპორტი. ამავე მიზეზებისა გამო (ცუდად ვაწარმოებთ სხვა საქმეებსაც. მსხვილ საწარმოო პუნქტებში გლახა და ლუკმამყოფილ მუშაობის მეოხებით, ხდება გაძლიერება წვრილ კერძო მესაკუთრეობითი სტიქიონისა, ყველა მის შედეგებით: დასუსტება მეზობელ (და მერე მთელი) გლეხობის მეურნეობისა, დაცემა მის საწარმოო ძალთა, დაკარგვა ნდობისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მტაცებლობა და წვრილი მასიური სპეკულიაცია (რაც უფრო ყველაზე საშიშია) და სხვა. „ნერგავს" რა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს კონცესიების სახით, საბჭოთა მთავრობა აძლიერებს მსხვილ წარმოებას წინააღმდეგ წვრილისა, ხელსუწყობს მოწინავე ელემენტებს წინააღმდეგ ჩამორჩენილისა, აძლიერებს მანქანურ წარმოებას, წინააღმდეგ ხელსაქმისა, ამრავლებს რაოდენობას მსხვილ ინდუსტრიის პროდუქტებისას, აძლიერებს სახელმწიფოებრივ ეკონომიურ ურთიერთობას წინააღმდეგ წვრილ ბურჟუაზიულ, პატრიარქალურისა. ზომიერათ და ფრთხილად წარმოებული საკონცესიო პოლიტიკა აუცილებლად ხელს შეგვიწყობს, რომ სასწრაფოდ (რამდენადაც კი შესაძლებელია, შეიძლება მცირედ ხანში) გავაუმჯობესოთ მდგომარეობა წარმოებისა, მუშებისა და გლეხებისა, რასაც, რასაკვირველია, დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდება ჩვენის მხრივ (კაპიტალისტი მილიონ ფუთობით წაიღებს უძვირფასეს პროდუქტებს). განსაზღვრა იმ ზომისა და იმ პირობებისა, რომელ პირობების მიხედვითაც კონცესიები სასარგებლო და უშიშარი იქნებიან ჩვენთვის, დამოკიდებულია ძალთა-აწონწონილობაზე და სწყდება ბრძოლით, ვინაიდგან კონცესიაც ერთ გვარი სახეა ბრძოლისა, განგრძობა კლასიური ბრძოლისა სხვა გვარ ფორმით და არასოდეს არ არის შეცვლა კლასიური ბრძოლისა კლასიური ზავით. ღონისძიებებს ბრძოლისას გვიჩვენებს თვით პრაქტიკა.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი კონცესიების სახით საბჭოთა სისტემაში არის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის სხვა ფორმებთან შედარებით თითქმის ერთადერთი სახე, მკაფიო, ნათელი და ზედმიწევნით ჩამოყალიბებული ფორმა. იქ ჩვენ გვ ქვს წმინდა ფორმალური წერილობითი ხელშეკრულება დასავლეთ ევროპის მოწინავე და კულტურულ კაპიტალიზმთან ჩვენ ზედმიწევნით ვიცით ჩვენი ხელშეკრულებისა, რომელ ვადითაც ვსდებთ ხელშეკრულებას, ვიცით პირობები ვადამდე გამოსყიდვისაც, თუ ასეთი გამოსყიდვის უფლება ნაგულისხმევია ხელშეკრულებაში. მართალია, ჩვენ ვუხდით ერთგვარ ხარკს მსოფლიო კაპიტალიზმს, „თავს ვიხსნით" მისგან არა თუ იმ [illegible] დებულებით, მაგრამ ამავე დროს ჩვენ დაუყოვნებლივ ვღებულობთ საშუალებას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა, ჩვენი მეურნეობის პირობათა გაუმჯობესებისა. მთელი სიძნელე მხოლოდ იმაშია, რომ კონცესიების გაცემის დროს ყოველივე კარგათ მოვიფიქროთ, ავსწონ-დავსწონოთ ხელშეკრულების დადებისას და მერე შევძლოთ, [illegible], თვალყურის დევნება მის აღსრულებისათვის. დიახ, ეს მეტად ძნელი საქმეა. პირველ ხანებში, უეჭველია, შეცდომებსაც ვერ ავცდებით, მაგრამ ეს სიძნელე ყველაზე პატარაა სოციალურ რევოლუციის სხვა სიძნელესთან შედარებით საზოგადოდ და კერძოდ კი სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის სხვა ფორმათა განვითარებასა, შემოღებასა და დანერგვასთან შედარებით. სასურსათო გადასახადის შემოღებისას, პარტიულ და საბჭოთა მუშაკების უმთავრესი მიზანი და ცდა უნდა იყოს როგორმე მოახერხონ და კაპიტალიზმის დანარჩენ ფორმებსაც, როგორიც არიან თავისუფალი ვაჭრობა, ადგილობრივი ბრუნვა და სხვა ამ გვარი რამ,—შეუფარდონ „საკონცესიო" პოლიტიკის (ე. ი. „საკონცესიო" სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის) პრინციპები, მიზნები და საფუძვლები.

(შემდეგი იქნება).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკის სასურსათო ყრილობა

(1921 წ. ივლისის „23“-ს. სხდომა).

ყრილობას ხსნის სახალხო სასურსათო კომისარი ამხ. ერქომაიშვილი.

შესავალ სიტყვაში ამხ. ერქომაიშვილი აღნიშნავს ყრილობის დიდ მნიშვნელობას და მასზე დაკისრებულ ამოცანის სერიოზულობას. შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. ბუდუ მდივანი. ესალმება რა ყრილობას, იგი აღნიშნავს, რომ მის დღის წესრიგში მდგარი საკითხები პირველხარისხოვან მნიშვნელობის მქონენი არიან, და მოუწოდებს რა ყრილობას ნაყოფიერ მუშაობისაკენ, გამოსთქვამს იმედს, რომ ყრილობის ნიადაგი მის მიერ გამორკვეული იქნება. ამხ. მდივანის შემდეგ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ატუევი.

ამხ. ერქომაიშვილის წინადადებით ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიაც ერთხმათ არჩეული იქმნენ: თავმჯდომარეთ ამხ. ერქომაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებათ ამხ. ნაფეტვარიძე და კალანდაძე და მდივნებათ ამხ. კიღურაძე და ფილკოვსკი, მიღებულ იქმნა შემდეგი თავმჯდომარის მიერ წაკითხული დღის წესრიგი.

1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ, 3) მოხსენება სრულიად რუსეთის სახ. თათბირის შესახებ, 4) საორგანიზაციო საკითხები, 5) სტატისტიკის საკითხები.

მტკიცდება ყრილობისათვის სახ. სასურკომის საორგანიზაციო განყოფილების მიერ შემუშავებული რეგლამენტი.

ყრილობა გადადის ადგილებიდან მოხსენებების მოსმენაზე, სიტყვა ეძლევა თბილისის სამსასურკომის წარმომადგენელს.

მომხსენებელი ამბობს, რომ თბილისის სამსასურკომი შეუდგა აპრილის დასაწყისში. ყველა საწყობები, რომლებიც მან მიიღო, დაცარიელებული იყო და სამსასურკომმა მიიღო ზომები, დარჩენილ ქონების შესაგროვებლათ და აღსარიცხავათ. იგი აძლევს სურსათ-სანოვაგეს 800-მდე მუშებს და საბჭოთა მოსამსახურეებს, ოჯახებით კი ეს რიცხვი 2200 უდრიდა. მომხსენებელი ამასთანავე აცხადებს, რომ მაზრაში რაციონი უფრო მეტი იყო, ვიდრე მიღებული იყო თბილისში—სულზე ეძლეოდათ 1 გირვანქიდან ორ გირვანქამდე დღეში.

საქონლის გაცვლა-გამოცვლის გზით იმ ქონებიდან, რომელიც დარჩა საწყობებში, სამსასურკომმა მოახერხა 504 ფუთი სიმინდის და 30 ფუთი ხორბლის შეძენა.

მაზრაში სწარმოებდა შეშისა და შპალების დამზადება, დაწყებული ჯერ კიდევ მენშევიკების დროს. პირველ ხანებში სატყეო კომიტეტი წინ აღუდგა ამას, მაგრამ შემდეგ მიღებულ იქმნა ნებართვა და ეხლა უკვე დამზადებულია 150 კუბ. საჟ. შეშა.

მაზრაში არის კარგა მოწყობილი წისქვილები, სამსასურკომი აპირებდა მაზრაში 2000 ფუთი ხორბლის მოგროვებას, მაგრამ ამას წინ აღუდგა სამაზრო რევკომი. მაზრაში არის კოოპერატივები, მაგრამ კავშირი გვაქვს მხოლოთ ორ მათგანთან. ბოლოს მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამსასურკომისა და რწმუნებულებისა ერთად არსებობა მხოლოდ აფუჭებს საქმეს.

სიტყვა ეძლევა სამტრედიის სამსასურკომის წარმომადგენელს. სამტრედიის სამსასურკომი მოეწყო მარტში. 1 ლ ივლისამდე სამსასურკომმა დაამზადა 22 ვაგონი სიმინდი, რომლებიც განაწილებულ იქმნა სახსასურკომის „ნარიადებ“-ით ქუთაისსა, ტყიბულსა და ხაშურს შორის, ნაწილი კი მოხმარდა სამტრედიის რაიონის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. სახსასურკომიდან სამტრედიის სასკომმა მიიღო ფულით 220 მილიონი. ყოველივე თანხები გადაეცემოდა ხოლმე ადგილობრივ კოოპერაციას, რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის ვალდებულებებს, ყველა დამზადებები კოოპერაციის საშუალებით სწარმოებდა. რევკომსა და სამსასურკომს შორის უთანხმოება არ ყოფილა. დათვალიერებულ იქმნა 42 თემი და გამოირკვა, რომ მოსავალი ცუდი იქნება, მაზრაში არ არის დათესილი 20 პროც. მიწებისა, გაფუჭებულია 10 პროც., ისეთი გვალვაა, რომ მისი მაგვარი მოხუცებულებსაც არ ახსოვთ. მოსალოდნელია კარგი მოსავალი—თხილის, ხილის და ღვინის; კარგია აგრეთვე ყაჭიც.

სიღნაღის სამსასურკომის წარმომადგენელი ამბობს, რომ სასურკომი მოეწყო 1 მაისს, მაზრაში დათესილია 27 ათასი დესეტინა მიწა. შირაქის რაიონში მოსავალი საშუალოზე დაბალია, სხვაგან—საშუალო, სიმინდის—საშუალოზე მაღლაა, კოოპერატივები არ არის და მაზრაში გაძლიერებულია სპეკულიაცია. მოსავლის მოკრეფის შემდეგ შეიძლება დამზადდეს 200 ვაგონი ხორბლეულობა.

სენაკის მაზრაში მდგომარეობა იმის გამო არის გართულებული, რომ იქ დამშეულთა რიცხვი 13 ათას კაცს აღწევს. ძველ მოსავლიდან არაფერი აღარ დარჩა. მოხდა წისქვილების ნაციონალიზაცია, მაგრამ მთავრობის დეკრეტის ძალით ისინი კვლავ გადაეცა ძველ მფლობელებს.

ახალციხის წარმომადგენელი: ახალციხის მაზრაში საქონელი ცოტა იყო, მაზრამ განიცადა თურქების შემოსევა, რომლებმაც ბევრი რამ წაიღეს, მაგრამ მაინც მოხერხდა ზოგიერთი საქონლის შენარჩუნება. მუშებისა და მოსამსახურეების მომარაგება არა რეგულიარულია. პურის მოსავალი საშუალოა, ხილის—ცუდი. წინათ მაზრიდან გაჰქონდათ 500 ვაგონამდის ხილი, ეხლა კი შეიძლება მხოლოდ—100 ვაგონის გატანა. კარტოფილი დათესილია 3000 დესეტინაზე და 3 მილიონ ფუთი მოსავალს ელიან. კოოპერატივები არ არის. სამსასურკომს არა აქვს გადასაზიდი საშუალებები და იმიტომ იგი იძულებულია გადაიხადოს 7000 მან. ერთ ფუთ ტვირთში. სამსასურკომი აწვდის სურსათ სანოვაგეს 7000 სულს მუშასა და მოსამსახურეს.

ბორჩალოს მაზრა. სამსასურკომი დაარსდა 25 აპრილს; დამზადებების საერთო რიცხვისაგან—ბორჩალოს სამსასურკომმა დაამზადა 75 პროც. მაგარი კოოპერატივები მაზრაში არ არის, არის მხოლოდ ერთი მსხვილი კოოპერატივი ვორონცოვკის რაიონში და რამოდენიმე წვრილი, მაგრამ მათთან კავშირი არ არსებობს. მუშათა კოოპერატივები არ არის. სამაზრო რევკომთან შეხლა-შემოხლას აქვს ადგილი. ნათესის მოედანი 76000 დესეტინას უდრის, ხოლო სათიბის 21,000 დესეტინას, პურის მოსავალი კარგი იქნება. მოგროვდება სულ სამმილიონ ფუთამდის პური. კარგი პირი უჩანს აგრეთვე ყურძენს და კარტოფილს. სამსასურკომმა სულ დაამზადა და გაგზავნა თბილისში 300 ფუთი შვეიცარიული ყველი, 1500 ფუთი თუშური ყველი, 200 ფუთი ერბო, 600 ცხვარი და 450 ძროხა. სამსასურკომი—აძლევს სურსათ-სანოვაგეს 1500 კაცს მუშას და 1500 მოსამსახურეებს ოჯახებით, არის სულ 9 სასადილო, რომლებიც აძლევენ 3000 სადილს.

წესიერ დამზადებას ძლიერ უშლიდა ხელს საქონლის გაცვლა-გამოცვლის ცხრილის შეუფერებლობა მაზრის მდგომარეობასთან, ამით სარგებლობდენ კერძო პირები, რომლებიც ჰყიდულობდნენ გლეხებისაგან აუარებელ პურსა და საქონელს. ახალ მოსავლის დასამზადებლათ მიღებულია ზომები. ერთი ფუთი ქერი ფასობს 40,000 მან., ხორბალი—60,000 მან.

გორის მაზრა: 15 აპრილიდან 5 ივლისამდის გამოიცვალა ორი სამსასურკომი. მაზრაში დათესილია 30415 დესეტინა პური, 13740 დესეტინა ქერი და 20058 დესეტინა სიმინდის მოსავალი—საშუალოზე მაღლაა, პურისა და ქერის საშუალოზე დაბალი. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსულ წვიმების შემდეგ მოსავალი გაუმჯობესდება. მაზრაში არის ფესვ მოკიდებული კოოპერატივები. არის მუშათა კოოპერატივიც მუშათა და მოსამსახურეების მოსამარაგებლათ. ბევრი სურსათ-სანოვაგე საჭიროა, რადგანაც მაზრაში არის მუშათა დიდი პუნქტები, მაგ. სურამი, ხაშური და ბორჯომი და ამის გამო სურსათ სანოვაგე ხშირათ არ გვყოფნიდა. ყველა მოსამსახურეების რიცხვი—3453 კაცია, ოჯახებთან ერთად კი 6440 კაცი.

სამხრეთ ოსეთის რაიონი: მომხსენებელი აღნიშნავს მცხოვრებლების უმწეო მდგომარეობას. წარსულ წელს სამხრეთ ოსეთი გაანადგურეს მენშევიკებმა და მცხოვრებლები ჩრდილოეთისაკენ გაიქცნენ: საბჭოთა ძალთა უფლების გამოცხადების შემდეგ მცხოვრებლები დაბრუნდნენ უკან სრულიად ღატაკნი, მათ არა აქვთ არც სამეურნეო იარაღები, არც ინვენტარი, არც ტანისამოსი. მთელი ტერიტორია წარმოადგენს დამშეულთა მასას. მთელი რესპუბლიკისაგან პურის მოტანა გაძნელებულია ტრანსპორტის უქონლობის გამო, წინათ არსებობდა 5 კოოპერატივი, მაგრამ ისინი განადგურებულია, დარჩა მხოლოდ ბოდბის კოოპერატივი, რომელიც ძლივს ჰლაფავს სულს. მუშები და მოსამსახურეები მხოლოდ თავის თავზე იღებენ ულუფას. ამ წელში დათესილია მხოლოდ ერთი მეათედი სათესი მოედნისა. მოსავალი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ იგი მხოლოდ 4 თვის საყოფია. მუშების და მოსამსახურეების რიცხვი 900 კაცს უდრის, ოჯახებით—კი 3000 კაცს. თავის საშუალებებით სამხრეთ-ოსეთი დიდხანს ვერ გასძლებს, საჭიროა ფართო და დაუყოვნებლივი დახმარება.

თელავის მაზრა: სამსასურკომმა დამზადა თავის საშუალებებით და ნაწილობრივ სახსასურკომიდან მიღებულ თანხებით 130 მილიონის პროდუქტები. სამსასურკომი არჩენს 3000 კაცს ტრანსპორტი სრულიად არ არის მუშების დაქირავება გაძნელებულია, მათ არაუზრუნველყოფის გამო, ამით სარგებლობენ სპეკულიანტები, რომლებიც ყველაფერი გააქვთ. საჭიროა ტრანსპორტის მიღება და აგრეთვე საშუალებების მიცემა ქვეყნის სიმდიდრის ცენტრში გადასატანათ.

თიანეთის მაზრა: სამსასურკომის მუშაობა ფაქტიურათ ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო. სახსასურკომიდან მიღებულია სულ 20 მილიონი მანეთი ეს არ არის საკმაო, მუშაობის პირობები მძიმეა. ვარსებობთ მხოლოთ იმ პროდუქტებით, რომლებიც დარჩა ყოფილ ერობებისგან. მოწყობილია ერთი სასადილო 450 კაცისთვის, მაგრამ საშუალებების უქონლობის გამო იგი სულს ჰლაფავს. მუშებს და მოსამსახურეებს ულუფა არ ეძლევათ. მაზრა მანუფაქტურით დიდ სიმცირეს განიცდის. პური მაზრაში საკმაოა მაგრამ თანხების უქონლობის გამო დამზადება არ სწარმოებს.

ზუგდიდის მაზრა. მაზრიდან სამ. სასურკომმა გაგზავნა სახსასურკომის „ნარიადებზე“ 11 ვაგონი სიმინდი. მუშების და მოსამსახურეების რიცხვი 3000 კაცს უდრის. არის ერთი სასადილო 400 კაცისათვის. ცენტრიდან მუშებისათვის და მოსამსახურეებისათვის არაფერი არ მიგვიღია. სულ მაზრაში დათესილია 57 ათასი დესეტინა მიწა. მოსავალი საშუალოზე დაბალია, ზემო (არა ნაყოფიერი) ხიდის მცხოვრებნი ჩვეულებრივათ მუშაობდნენ სხვა ადგილების მიწებზე, მაგ. უმთავრესათ აფხაზეთში, მაგრამ ეხლა იქ მუშაობის ნებას არ აძლევენ. ძალიან კარგია ყურძენი. სამაზრო რევკომთან დამოკიდებულება ნორმალურია.

ბათომის მაზრა. ბათომის ოლქის 125 ათას მცხოვრებელს მიწით ძლიერ მცირე რაოდენობა აქვს კომლზე ნახევარ დესეტინიდან 1-ნახ. დესეტინამდე მოდის. უმნიშვნელოა აგრეთვე მეწველების საქონლის რაოდენობა თვისი საშუალებები ოლქს არა აქვს და ყველაფერი შინ გარედან უნდა მიიღოს. ბათომში და მის ოლქში 30 ათასამდე მუშა და მოსამსახურეა, რომლებიც ბათუმმა უნდა გამოკვებოს. დამზადებათა სხვაგან გარეთ წარმოება ძნელია ყველაფერი რაც კი მოაქვთ, მოაქვთ ანატოლიის სანაპიროებიდან სახსკომიდან მიღებულია 150 მილიონი მანეთი; რამოდენიმეჯერ თანხებს იძლეოდა ადგილობრივი რევკომი, ზოგი რამ ხაზინის საქონლის გაცვლა გამოცვლის წესით. არსებობს 42 სასადილო. მაზრაში შეიძლება მოაგროვონ 360 ათასი თავისი პური, რაც შეადგენს წელიწადში სულზე სამ ფუთს, თუ წამოვა წვიმები მაშინ შეიძლება სულზე 6 ფუთი მოგროვდეს. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სასურსათოს მხრივ როგორც ქალაქის, ისე მთელი დანარჩენი ოლქის მცხოვრებლებისა უზრუნველყოფა და დახმარება.

(შემდეგი იქნება)

სასურსათო ნატურ გადასახადი მაზრებში

დუშეთის მაზრა

პარტია მუშაობს.

დუშეთის მაზრა პარტიული ძალების მხრივ განსაკუთრებულ პირობებშია, მაგრამ მაინც ვინც არიან იქ ენერგიულ მუშაობას ეწევიან. ქ. დუშეთში რომ მივედი, იქ ამხ. ცოტა დამხვდნენ: ორიოდე კაცის გარდა ყველა რაიონებში წასულიყო სამუშაოთ. თითქოს წინასწარ ეგრძნოთ ცეკას დავალება და წარმომადგენლის ჩამოსვლამდი შეუდგომოდენ თავიანთი პარტიული მოვალეობის შესრულებას. ყველა რაიონების მთავარ პუნქტებში მიტინგების მოწყობა გადაეწყვიტათ და ყველგან შესაფერი ამხანაგები გაეგზავნათ პროპაგანდა-აგიტაციის გასაწევათ. სამაზრო რევკომის თავმჯდომარე და პარტკომის მდივანი დ. ახალგორს გამგზავრებულიყვნენ. ამნაირათ ერთ დღეს, 14 აგვისტოს თითქმის მთელ მაზრაში გაიმართა მიტინგ კრებები, რომლებზედაც გაკეთდა მოხსენებები სასურსათო ნატურ-გადასახადის შესახებ და განმარტებულ იქნა ამ თემის გარშემო აღძრული კითხვები.

მხოლოთ გლეხკაცობა ისმენს.

ქ. დუშეთის ბულვარზე შეკრიბა ახლო-მახლო სოფლებიდან შემთხვევით ჩამოსული გლეხობა. მიტინგზე არ გამოცხადდა არც დუშეთის „მეშჩანობა“ და არც ინტელიგენცია, გარდა ორი თუ სამი მღვდლისა. სულ დაესწრო ასიოდე პირი, მაგრამ ამ მცირე კრებულსაც ეტყობოდა, რომ იგი არ იყო ერთფეროვანი, რომელიც მასშიდაც სხვა და სხვა ელემენტები იფარებოდნენ. დიდი უმრავლესობა ღარიბები იყვნენ, მაგრამ ეტყობოდა შეძლებულებიც ერივნენ; და ის ამ შეძლებულთა წრიდან საკმაოთ გამოვიდა კიდეც ერთი მოხუცთაგანი, რომელიც აღმოჩნდა ძველი რევოლიუციური კულაკი გლეხი დუშეთელების ჯანყების დროს მენშევიკების გვარდიელების დამსჯელი რაზმების დიდი დამხმარე. მან იკისრა იგივე როლი ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლა მიტინგზე და სთქვა ის, რასაც იტყოდა მენშევიკების ამყოლი კულაკი გლეხი. მან შესძლო მხოლოთ ის, რომ გაურკვეველი და ყაყანში მყოფი ნაწილი, შუათანა გლეხობა დაებნია და ხმის მიცემის დროს თავი შეეკავებინა. მიუხედავათ ამისა გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოგზავნილი პასუხისმგებელი ამხანაგის, რ. კალანძის მოხსენება სასურსათო ნატურ გადასახადზე და ვცნობთ რა, რომ ეს ღონისძიება ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარეობს, მხარს ვუჭერთ სასურსათო გადასახადის დეკრეტს, საქართველოს რევკომს, ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას და მზათ ვართ ეს დეკრეტი ცხოვრებაში სავსებით გავატაროთ. გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირს ეკონომიურ ფრონტზე“.

ასეთივე შინაარსის რეზოლიუციები იქნა გამოტანილი გლეხთა მიტინგებზე დუშეთის მაზრის შემდეგ ადგილებში: დ. ახალგორში, ს. მუხრანში, სადგ. მლეთაში, ყაზბეგში და მცხეთაში. თითქმის ყველგან მოხდა კულაკ გლეხების მხრით გამოსვლები, რომლებიც შეეცადნენ გლეხკაცობის უმრავლესობა [illegible] და ახალ მთავრობაზე გული აეცრუებინათ. მაგრამ ჩვენი ამხანაგების მკვეთრმა სიტყვამ და სიმართლემ თავისი გაიტანა და მათი მუხანათური გავლენა წამშივე გააქრო გლეხკაცობამ ხელდებით უერთდება ჩვენს კამპანიას და მედგრათ, მტკიცეთ მოითხოვს სასურსათო ნატურ გადასახადი დაუზოგველათ იქნას გატარებული.

პურის ძლიერი ფონდი უნდა შედგეს რესპუბლიკაში, რომ გლეხებმა ქალაქიდან საჭირო საქონელი მიიღონ, ამბობენ ისინი. მტკიცე ძმური, ამხანაგური კავშირი ქალაქის მუშებთან, რომ სოფლათ გლეხებს დროზე მიუვიდეთ საჭირო საქონელი ფარჩეულობა, სამეურნეო იარაღი, მარილი და სხვა და სხვა.

აი რას ელის გლეხკაცობა ამხ. მუშებისგან და თავის ღვიძლ მთავრობისგან.

რ. კ.

კომპარტიის ქალ. ტფილ. ორგანიზაციის წევრთა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა გაერთიანებული კრება

სამშაბათს 16 აგვისტოს, დრამის სახელმწიფო თეატრის დარბაზში შედგა ქალ. ტფილისის ორგანიზაციის წევრთა და ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტთა გაერთიანებული კრება.

ხალხით სავსე იყო ფართო დარბაზი თეატრის.

დღის წესრიგში იდგა: 1) ამიერკავკასიის ეკონომიური თათბირის შესახებ. 2) შიმშილი ვოლგის მხარეში:

კრება გახსნა ამხ. რუზენმა.

პირველ კითხვაზე მომხსენებლად გამოვიდნენ—ამხ. ვირაპპი და ს. ბეგზადიან; მათ დაწვრილებით გააცნეს კრებას კავკასიის ეკონომიური თათბირის შედეგი, და აღნიშნეს ის ერთსულოვნება ამა თუ იმ ეკონომიურ დიდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ კითხვების გადაწყვეტის დროს, რომელსაც იჩენდენ მოძმე, მეზობელ სახელმწიფოების წარმომადგენლები თათბირზე.

... კავკასიის დაქუცმაცება ეკონომიურად არავის არ ძალუძს. თვით არსებობს ობიექტიური პირობები აიძულებს კავკასიას, რომ იგი ეკონომიურად გაერთიანდეს,—კავკასია გარდაიქცეს ერთ ეკონომიურ მთლიანად.—დაასრულა ამხანაგმა ვირაპპიმ თავისი მოხსენება.

. . . ყოველივე იმ მითქმა-მოთქმის და ჭორების გამო, რომელიც დღეს ვრცელდება ჩვენი საბჭოთა რესპუბლ. წინააღმდეგ როგორც შინაური ისე გარეშე მტრების მიერ,—ჩვენ უპასუხებთ კავკასიის, მჭიდრო ეკონომიური გაერთიანებით, ეკონომიური კავშირით რასაც ჩვენს,—კავკასიის ერთი ცხოვრებაში დიდი, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს გაერთიანება-კი მოგვცემს იმას, რომ ჩვენ აწი აღარ დაგვჭირდება ჩვენი თვალები რუსეთისკენ ჰყოს მიპყრობილი ჩვეულებრივ და ველოდოთ [illegible] ყოველივე დახმარებას. ეხლა [illegible], სირცხვილიც იქნება; ეხლა პირიქით ჩვენ გვქონდეს დახმარება მათთვის.—დაასრულა თავისი დამატებითი მოხსენება ამხ. ს. ბეგზადიანმა.

მეორე კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კიროვმა. მან თავისი ლამაზი, მოქნილი ენით მკვეთრად დახატა ის საშინელი, შემზარავი სურათები, რომელიც ვოლგის მხრის დამშეული მშრომელი გლეხკაცობის ცხოვრებიდან იქმნება, და [illegible],—ყველამ—ვის რით და რამდენი შეუძლია დაეხმაროს.

კრების დასასრულს გამოიტანა შემოწირულების მიღება დამშეულთა სასარგებლოდ. სწირავდენ ძვირფას ნივთეულობასაც.

ხევსტი.

პროვინციაში.

ზუგდიდის მაზრა.

ვინც კი ზუგდიდის მაზრას და მის სოფლებს იცნობს, მან აუცილებლათ იცის თუ როგორი მასსიური ხასიათი ჰქონდა წარსულ წლებში, მენშევიკების, ბატონობის ხანაში აქ ყაჩაღობას. დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრებულია, როგორც სხვა ბოროტ-მოქმედებებს, ისე ამ უსაშინელეს მოვლენას ამ გაბოროტებულ ჯაშუშთა თარეშს უკანასკნელ ხანებამდე არ ჰქონია ადგილი. ნათქვამია, თითო მახინჯი ყოველ ოჯახში გამოერევაო, და სამწუხაროთ ჩვენც შეგვეძინა ასეთი „გმირები“, რომლებიც პირნათლათ ასრულებენ „ძმა-ბიჭების“ ნაანდერძევ ტრადიციულ ჩვეულებებს. მაზრაში არის ხუთი ყაჩაღი: 1) ვანო აბუჯანია, 2) ვასილ გაგულია, 3) პავლე ერისთავი, 4) ბერაია და 5) ხაინდრია. 1 ლი სამი არის ქარიატის და 1 ლ ხორგის, ხოლო დანარჩენი ორი ხორშის თემიდან. ამ ვაჟბატონებს არსებითად არაფერი დიდი საქმე არ ეხებათ, რომ მათთვის ყაჩაღად გადავარდნა აუცილებელი საშუალება ყოფილიყო სამშვიდობოზე გასასვლელათ. პირიქით რამოდენიმე მათგანი მოხელისნიც არიან. ერთის მხრით რომ ვსთქვათ საბჭოთა მთავრობის წინაშე დიდი დანაშაული მათ მით მარტო მიუძღვით, რომ ჩვენი ძალაუფლების გამოცხადების შემდეგ პირველი ყაჩაღები არიან. მიუხედავათ ყოველივე ამისა ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ როგორც მას სჩვევია დიდი სულგრძელობა გამოიჩინა და მათ (ყაჩაღებს) შეუთვალა: „გამოდით თქვენი ნებით, ყოველივეს გაპატიებთ და თუ კი მოისურვებთ სამსახურშიც მიგიღებთ“. მაგრამ ჩვენი ასეთი ჰუმანიური მოპყრობა სისუსტეში ჩამოგვართვეს და უარი განაცხადეს.

ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო და მთავრობაც იღებს უკანასკნელ ზომებს ამ [illegible] მოსასპობად.

საბჭოთა ხელისუფლებას, სურს გაგვათავისუფლოს ამ უპასუხისმგებლო ბოროტთა თარეშისგან, რა გზითაც არ უნდა იქნეს ეს. შეუძლებელია და ყოვლად დაუშვებელი საბჭოთა რესპუბლიკაში ყაჩაღთა თარეში.

ძირს ყაჩაღობა, ძარცვა გლეჯა, მოძმეთა აწიოკება-აოხრება!..

პ. აბ—ია

სოფელი ხეფითი (სენაკის მაზრა)

დღიდან საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა სოფელ ხეფითსაც დაეტყო გამოცოცხლება. დაარსდა რევოლიუციონური კომიტეტი, ცნობილი კომუნისტი ფილიპე მაკალათიას მეთაურობით და თავმჯდომარეობით, რომელიც თავისი გამოცდილებით უძღვება სოფლის საქმეს ღირსეულად, რევკომის მეოხებით ბოლო მოეღო ყოველივე კუთხურ უთანხმოებას. ცენტრი ყოველივე სახალხო დაწესებულებისა, გადატანილ იქნა შუაგულ სოფელში. არსებობს ორი სახალხო წისქვილი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ხალხის მოთხოვნილებას; არსებობს ერთ კლასიანი სასწავლებელი აგრეთვე—დრამატიული დასი, იმართება ხშირათ წარმოდგენები, თეატრის გამგეობაში შედის: ფილიპე მაკალათია, ვასილი ლაბარტყავა, სილიბისტრო გრიგოლია და გრიგოლ ნადარაია. დრამატიულ დასს გადაწყვეტილი აქვს დაარსოს სახალხო სახლი. ვუსურვებთ განზრახვის სისრულეში მოყვანას.

ადგილობრივ რევკომს გადაწყვეტილი აქვს დაარსოს ოთხ კლასიანი სასწავლებელი აგრონომიული განყოფილებით. ამისათვის მათ უკვე გამონახული აქვთ საუკეთესო მიწის ნაჭერი. ეს საქმე კარგა ხანია, რომ ხეფითის საზოგადოებამ დაიწყო და გეგმაც შემუშავებული ქონდათ, მაგრამ ძველ მთავრობამ უყურადღებოთ დასტოვა ხალხის მოთხოვნილება და არ გაუწია მას არავითარი დახმარება. ეხლა იმედი გვაქვს, რომ დღევანდელი რევოლიუციონური მთავრობა დაეხმარება ხეფითის საზოგადოებას, ასაშენებელი მასალით. და ხელს შეუწყობს ხალხის კეთილ განზრახვების სისრულეში მოყვანას. არსებობს აქ აგრეთვე პარტიული კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიულ მუშაობას, კომუნისტურ პარტ. წევრების რიცხვი 40 კაცამდე და კანდიდატი კი 15.—უნდა ითქვას სიმართლე, რომ სოფელ ხეფითში კომუნისტური პარტია მენშევიკებს დროს აწარმოებდა ინტენსიურ მუშაობას და ფხიზლათ და მომზადებულათ დახვდა გადატრიალებას.

ხეფიელი.

ქ. ზესტაფონი.

ქალაქ ზესტაფონის მშრომელ ქალთა პირველი თავისუფალი კრება: გაიხსნა შაბათს, 9 ივლისს. საღამოს ხუთ საათზე, კლუბის შენობაში, დამსწრეთა რიცხვი აღემატებოდა 100 ქალს. კრების თავმჯდომარეთ იქნა ამხ. ლუბა ჭურაძისა, მდივნათ ამხ. ოლღა ბაკურაძისა. მოხსენება გააკეთა, საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილების გამგემ ამხანაგ ლ. გასვიანმა. რომელმაც აღნიშნა რა არის საბჭოთა მთავრობა, რა უნდა საერთოთ მუშა მშრომელი ხალხისთვის და განსაკუთრებით ქალებისთვის, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთში მშრომელი ქალები, საბჭოთა მთავრობის წინ და რამდენათ გააუმჯობესა საბჭოთა მთავრობამ მათი მდგომარეობა. მომხსენებელმა აღნიშნა ისიც, თუ რა არის ქალთა თავისუფლება და რანაირათ მიიღონ მონაწილეობა, საბჭოთა მთავრობისაგან განთავისუფლებულმა ქალებმა სახელმწიფოს აღმშენებლობაში მამაკაცებთან ერთად და სხვა.

კრება მოხსენებით კმაყოფილი დარჩა. შემდეგ კრებამ ერთ ხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ქალაქ ზესტაფონის მშრომელმა ქალებმა მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ გასვიანისა,—დავრწმუნდით, რომ მარტო საბჭოთა მთავრობას მოაქვს განთავისუფლება მშრომელი ხალხისთვის და კერძოდ ქალებისთვის. ჩვენ ქალაქ ზესტაფონის მშრომელი ქალები ვდებთ ფიცს, რომ მივიღოთ მონაწილეობა იმ მუშაობაში, რომელიც სახელმწიფოს აშენებისთვის გველის ჩვენ მომავალში.

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას. გაუმარჯოს განთავისუფლებულ მშრომელ ქალებს.

თავმჯდომარე ლ. ჭურაძისა.
მდივანი ო. ბაკურაძისა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება სოფლის მეურნეობათვის სამუშაო დროის განსაზღვრის შესახებ.

1. საბჭოთა და სხვა სასოფლო სამეურნეო წარმოებებში, რადგანაც სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ხასიათი აქვს და ხშირია მუშა ხელის ნაკლებლობა, რის გამო ორჯერიანი სისტემის შემოღებაც შეუძლებელია, ზაფხულის განმავლობაში სამუშაო დღე გადიდებულ იქმნეს ათ საათამდე.

შენიშვნა: ზამთარში სამუშაო დღის გადიდება 8 საათს ზევით დაუშვებელია.

2. სასოფლო სამეურნეო მუშაობისათვის სამუშაო დღის გადიდება შეიძლება მარტის 1 დან ნოემბრის 1 დე.

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ სეზონის დრო და ხანგრძლივობა შეიძლება შეცვლილ იქნეს ადგილობრივ სამეურნეო ყოფა-ცხოვრების და ჰავის მიხედვით, იმ პირობით, რომ სეზონი წელიწადში გაგრძელდება 6 თვეს მაინც და არა უმეტეს 8 თვისა.

3. საჭიროვო შემთხვევებში, სეზონის განმავლობაში არა უმეტეს 60 ჯერისა, დაშვებულ იქნეს 10 საათზე მეტი მუშაობა იმ პირობით, რომ ამ დამატებით საათების საერთო რიცხვი არ აღემატებოდეს მთელს სეზონში თითოეულ მუშაზე 120 საათს.

4 წარმოების ადმინისტრაცია მოვალეა 10 საათის სამუშაო დღის შემოღება აცნობოს სათანადო რაიონის შრომის ინსპექტორს და მიწის და ტყის პროფესიონალურ კავშირის ადგილობრივ განყოფილებას.

5. 14—16 წლის მცირე წლოვანნი შეიძლება იმუშაონ არა უმეტეს 6 საათისა დღეში, ხოლო 16—18 წლის მოზარდები არა უმეტეს 8 საათისა.

6. სადილისა და დასვენებისათვის მუშაობის შეწყვეტის რიცხვი და ვადა შემუშავებულ უნდა იქმნას მუშათა კომიტეტის მიერ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. მუშაობის შეწყვეტის დრო, გარდა [illegible] შესვენების, სამუშაო დროის ანგარიშში არ შედის.

შენიშვნა: მუშაობის შეწყვეტის დასაწყისი და დასასრული წარმოების ყველა კატეგორიის მუშებისათვის წესდება ერთი და იგივე.

7. სოფლის მუშებს დასვენებისათვის ეძლევა კვირაში ერთი დღე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მუშაობა კვირა დღისით აუცილებელია, დასასვენებლად ერთი დღე მიეცემა შუა კვირაში. საერთო სამოქალაქო დღესასწაულებში (კვირის გარდა) მუშაობა დაშვებულ უნდა იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციისა და მუშათა კომიტეტის ერთხმათ შეთანხმებით.

8. მუშაობა სრულწლოვანთათვის 8 საათზე მეტი, 14—16 წლის მცირე წლოვანთათვის 4 საათს ზევით და მოზარდთათვის (16—18 წ.) საათზე მეტი ითვლება ზედმეტ სამუშაოდ და ანაზღაურდება პირველი ორი საათი ერთ ნახევარჯერ მეტად, ხოლო ორ საათზე მეტი, ორმაგად.

9. ეს დადგენილება ვრცელდება იმ მუშა მოსამსახურეებზე, ვინც მუშაობს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებათა, საცდელ და საჩვენებელ სადგურების, კოოპერატივების და ქარხნების კუთვნილ მეურნეობაში და სხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო სასოფლო სამეურნეო წარმოებაში და აგრეთვე იმ მუშებზედაც ვინც სოფლის მეურნეობაში დამხმარე მუშაობას ეწევა, სახელდობრ: სარწყავ და გამშრობ არხების გაყვანა, მელიორაცია, სასოფლო-სამეურნეო იარაღის შეკეთება და სასოფლო სამეურნეო წარმოებათა სახელოსნოებში მუშაობა.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

შრომის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილე ს. ბოლბოლიძე.

დეკრეტი № 62.

საქართველოს ს. ს. რ. რევ. კომიტეტი მიწის მფლობელობით და მისი ურთიერთობით გამოწვეულ დავის გადასაწყვეტად განსაკუთრებული კომისიის დაარსების შესახებ.

რათა ამა 1921 წლის 6 ს თარიღის და 17 №-რის დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს ყოველგვარი დავა, მიწისმფლობელობით და მისი ამა თუ იმ ურთიერთობით გამოწვეული, სასწრაფოთ იქნეს გადაწყვეტილი,—საქართველოს რევოლიუციური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველგვარი დავა მიწის ფლობაზე ან მიწის მფლობელობით გამოწვეულ ურთიერთობის გამო გადაეცეს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას.

2. ხსენებულ კომისიას და მისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქციას შეადგენს და დაამტკიცებს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი, მიწად მოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე, რევკომის მდივანი ალ. ხალარაძე. 1921 წ. ივლისის 27. ტფილისი-სასახლე.

ინსტრუქცია.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან განსაკუთრებული კომისიის მოწყობის შესახებ თანახმად დეკრეტისა № 62 1921 წ. ივლისის 27 თარიღით.

1. საერთო დებულება.

1. მიწის მფლობელობით და მისი ურთიერთობით გამოწვეული დავის გარჩევა და გადაწყვეტა ევალება მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ სადგილმამულო კომისიას და მის განყოფილებებს მაზრებში (სამაზრო კომისიები).

2. საქმე ირჩევა საჯაროდ და დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ გამოგზავნონ რწმუნებულები.

3. საქმე სწყდება თანახმად მიწის დეკრეტის № 17 და სოციალისტურ სინიდისის მიხედვით.

2. ორგანიზაცია.

4. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ სადგილ-მამულო კომისიაში შედის: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და 7 წევრი.

5. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწადმოქმედების კომისარიატი, ხოლო მის მოადგილეთ ითვლება სადგილ-მამულო პოლიტიკის განყოფილების გამგე; შვიდი წევრიდან ოთხს იძლევა სადგილ მამულო პოლიტიკის განყოფილება, (თანახმად ქვეგანყოფილებათა რიცხვისა) და თითოს: მუშათა და გლეხთა ინსპექცია, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და პროფესიონალური კავშირთა საბჭო.

6. კომისიასთან არსებობს კანცელარია, რომელიც შესდგება: მდივნისა, საქმის მწარმოებლისა და მანქანაზე გადამწერისაგან.

7. კომისიის სხდომა ჩაითვლება კანონიერათ, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი მოადგილე და არა ნაკლებ ორი წევრისა.

3. კომისიის სამაზრო განყოფილება.

8. კომისიის სამაზრო განყოფილებაში შედის თავმჯდომარე და 5 წევრი.

9. თავმჯდომარეს ნიშნავს სახალხო კომისარი, ხოლო წევრებათ ითვლებიან სამაზრო სადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიის წევრები და თითო წარმომადგენელი სამაზრო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პროფკავშირის და პარტკომისა.

10 სხდომა ჩაითვლება კანონიერათ თანახმად მეშვიდე მუხლისა.

4. საქმის გარჩევა სამაზრო კომისიაში.

11. ყოველი საქმე, დავა თუ პრეტენზია, იწყება და სწყდება სამაზრო კომისიაში.

12. საქმის გარჩევის დღისთვის კომისია იწვევს მხარეებს და მოწმებს უწყებით.

13. კომისია შეუდგება საქმის გარჩევას, თუ მხარეებს ჩაბარებული აქვთ უწყებები.

14. თუ საქმე მორიგებით არ გათავდა კომისია შეუდგება მხარეების და მოწმების დაკითხვას და საბუთების შემოწმებას, თუ უკანასკნელი საჭირო აღმოჩნდა.

15. როდესაც კომისია დაინახავს, რომ კითხვა საკმაოთ არის გამორკვეული, ადგენს თავის განაჩენს რომელსაც უცხადებს მხარეებს.

16. უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან გაასაჩივროს კომისიის დადგენილება 3 დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

შენიშვნა: კომისია საჯაროდ აცხადებს გასაჩივრების ვადას.

17. ძალაში შესული დადგენილება უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის საშუალებით.

5. საქმის გარჩევა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

18. განსაკუთრებული კომისია, მიიღებს რა გასაჩივრებულ საქმეს, ნიშნავს გარჩევის დღეს 3 მი დღის განმავლობაში, დღიდან საქმის მიღებისა, და იწვევს მხარეებს უწყებებით.

19. კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება არა უგვიანეს 2 დღისა წარედგინება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიას დასამტკიცებლად.

შტატები

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ სადავო მამულთა კომისიის კანცელარიისა:

მდივანი	1
საქმის მწარმოებელი	1
მანქანაზე გადამწერი	1
სულ	3

სამაზრო კომისიის კანცელარიისა.

მდივანი	1
საქმის მწარმოებელი	1
მწერალი იგივე რეგისტრატ.	1
მანქანაზე გადამწერი	1
შიკრიკი	1
სულ	5

ბრძანება

სამხედრო და საზღვაო, შინაგან საქმეთა და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისადმი

№ 260

თანახმად სამხედრო-საზღვაო კომისარიატში მიღებულ ცნობებისა, საქართველოს ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის № 41 დეკრეტი, რომელიც უზრუნველჰყოფს წითელ არმიელების ოჯახებს, მუშა ხელით თუ სხვაგვარი დახმარებით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული და არ ტარდება მას ცხოვრებაში. ამ ტომ წითელარმიელები გარბიან შინ, რომ მამულის დამუშავებით, მოსავლის შენახვით, და სურსათის მომარაგებით, უზრუნველჰყონ თავიანთი ოჯახები ზამთრისათვის.

ასეთმა მოპყრობამ საქმისადმი ადგილობრივ რევკომების და სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებების მხრივ, ე. ი. მათ მიერ დეკრეტის შეუსრულებლობამ, არ შეიძლება რომ არ იქონიოს მავნე გავლენა ჩვენს საერთო საქმეზე—რესპუბლიკის შინაურ შეიარაღებულ ძალთა მოწყობაზე და არ გვაძლევს შეძლებას საბოლოოთ მოუსპოთ მოქმედების საშუალება მავნე ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ ჯარში დეზერტირობის—გავრცელებას.

ზემოაღნიშნულისა გამო სასტიკათ მოუწერთ საქართველოს ყველა რევკომებს და სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებებს, რათა დაუყოვნებლივ და სისწორით იქნეს გატარებული ცხოვრებაში № 41 დეკრეტი და ამით მიეცეს საშუალება წითელარმიელებს გულდადებით იმსახურონ ჯარში და არ იჯავრონ თავიანთ ოჯახების უზრუნველყოფაზე.

ის პირნი ან ორგანიზაციები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ამ ბრძანების სისწორით შეუსრულებლობაში და № 41 დეკრეტის უყურადღებოთ დატოვებაში იქნებიან სასტიკათ დასჯილნი რევტრიბუნალში მიცემით, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის მოღალატენი.

ეს ბრძანება შედის ძალაში დღიდან გამოქვეყნებისა.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი კვირკველია,

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ს. თოდრია.

საქართველოს ჯარების სარდალი, გენერალ. შტაბის—ანდრონიკაშვილი.

დებულება.

ს. ს. ს. რ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებულ სტატისტიკურ კურსებისა.

1. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსდება მოკლე ვადიანი სტატისტიკური კურსები, რომელთაც აქვთ მიზნათ სტატისტიკურ დარგში პასუხისმგებელ პრაქტიკულ მომუშავეთა მომზადება.

2. კურსები სამ თვიანია და განზრახულია 60 მსმენელთათვის.

3. კურსების მსმენელათ ჩასარიცხავათ სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა და საშუალო განათლება.

შენიშვნა: ც. ს. ს. თანხმობით კურსებზედ მიიღებიან ის პირნიც რომელთაც არა აქვთ მიღებული საშუალო განათლება მხოლოდ აქვთ სტატისტიკური სტაჟი.

4. კურსების მსმენელათ მიიღებიან ის პირნი, რომელნიც დასახელებული იქნებიან: ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მისი ადგილობრივ ორგანოების და ცენტრალურ უწყებათა სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ. კერძო პირნი მიიღებიან იმ შემთხვევაში თუ კურსებზედ იქმნა თავისუფალი ადგილი.

შენიშვნა 1: თუ უწყებებთან და სამაზრო რევკომებთან არ არსებობს სტატისტიკური ორგანიზაციები მაშინ მსმენელებს ასახელებენ თვით უწყებანი და სამაზრო რევკომები.

5. ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს (აზერბაიჯანს, სომხეთს) ეძლევათ უფლება გამოგზავნონ კურსებზედ სტიპენდიანტები არა უმეტეს 5 პირისა ყოველ რესპუბლიკიდან.

6. კურსების მსმენელთა შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

7. კურსების მსმენელები ითვლებიან სახელმწიფო სამსახურში.

8. კურსების დამთავრებისა და სათანადო გამოცდის შემდეგ მსმენელები ღებულობენ შესაფერ დანიშნულებას.

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე
ვ. გრიგორიანი.
10 აგვისტო 1921 წ.
ქ. თბილისი.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევს 2 საათამდის.

პარტიული

საქართველოს კომ. პარტიის მე 4 რაიონების პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს მე-4 რაიონის ყველა კომუჯრედების მდივნებს ორი დღის ვადაში წარმოადგინონ რაიკომში აგვისტოს პირველი ნახევრის საერთო უწყებები. ამასთან ერთად იმ მდივნების რომელთაც დღემდე არ წარმოუდგენიათ ივლისის მეორე ნახევრის ცნობები, ვალდებულ არიან დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ასეთები.

— საქართველოს კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აუწყებს ყველა წევრებს და კანდიდატებს საქარ. კომ. პარტიის მე 4 რაიონისას, რომ პარასკევს 19 აგვისტოს საღამოს 7 საათზე მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბის ბაღში შესდგება საერთო კრება მე-4 რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატთა მოხსენებით გამოდიან მ. ორახელაშვილი და ლორდქიფანიძე სოფლად პარტიულ თათბირის შესახებ. დასწრება ყველა ამხანაგებისთვის სავალდებულოა.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 29 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ-ლის მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძნელაძე.

ტირაჟი 10,000